ქართული ენისა და დიტერატურის დამხმარე სახელმძღვანელო

ქართული ენისა და ლიტერატურის დამხმარე სახელმძღვანელო

III კლასი

ძვირფასო კოლეგებო,

წიგნში თავმოყრილი მასალა დაგეხმარებათ, თქვენმა მესამეკლასელმა მოსწავლეებმა ქართულ ენაზე შეძლონ:

- სხვადასხვა ტიპის მცირე და საშუალო ზომის ტექსტების წაკითხვა, მოსმენა, გაგება-გააზრება, ტექსტის შინაარსის ზეპირად და წერილობით გადმოცემა;
- ტექსტის ძირითადი იდეის ამოცნობა და პერსონაჟების დახასიათება მარტივი ენით;
- პირადი დამოკიდებულების გამოხატვა პერსონაჟ(ებ)ის მიმართ, მისი/მათი ქცევის შეფასება და აზრის მარტივი დასაბუთება;
- ასაკის შესაბამისი ლექსიკისა და ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციების სათანადოდ გამოყენება;
- ილუსტრაციისა და ტექსტის ურთიერთდაკავშირება და მათ შორის მიმართების დადგენა;
- მცირე ზომის მხატვრული ტექსტების ინტერპრეტირება და საკუთარი შთაბეჭდილებების გაზიარება;
- ვერბალური ინფორმაციის ვიზუალურად გარდაქმნა და/ან პირიქით - ნახატის, დიაგრამის სიტყვიერად აღწერა;
- კითხვის სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად (გაცნობითი, შესწავლითი);
- მცირე ზომის მარტივი ტექსტების შექმნა/წერა ნაცნობ თემატიკაზე და საკუთარი გამოცდილების გაზიარება;
- კალიგრაფიისა და მარტივი მართლწერის ნორმების დაცვა;
- წერის დროს მარტივი გეგმის შედგენა და პირველადი ვერსიის გადახედვა-გასწორება;
- ჯგუფურ და წყვილურ აქტივობებში მონაწილეობა და იდეების გაზიარება;
- სახალისო ლიტერატურულ თამაშებში მონაწილეობა და მარტივი ლიტერატურული პროექტების განხორციელება.

წიგნში გამოყენებულია პირობითი აღნიშვნები:

ლექსიკონი	კითხვა-პასუხი	წერითი აქტივობა	მხიარული გრამატიკა	ვიზუალიზაციის აქტივობა

სარჩევი

წიგნი ვის ეკუთვნის? - იაკობ გოგებაშვილი 7

ია ჩრდილოეთ პოლუსზე - ჯანი როდარი 8

კოჭლი კაცი - იაკობ გოგებაშვილი 10

წიფლისჩიტა - ვაჟა-ფშაველა 12

ბრძენი აზრს იცვლის - ჯანი როდარი 14

იაკობის მოსაკითხად - თედო სახოკია 16

გათავისუფლება - რევაზ ინანიშვილი 17

სიმღერა - გივი ჭიჭინაძე 19

აკვანი - გიორგი ლეონიძე 21

ყვავილები - გიორგი შატბერაშვილი 22

გაიზრდები და დაგავიწყდება - ილია ჭავჭავაძე 24

შავი ზღვა - ლელა ცუცქირიძე 27

ნატვრა აუსრულდა - ნესტან კუპრავა 28

ზღაპარი ჯოხზე, რომელსაც საკუთარი თავი
უსარგებლო ეგონა - ნესტან კუპრავა 30

ნაცარქექია - ხალხური ზღაპარი 32

ყაყაჩოსა სიწითლითა - ანა კალანდაძე 35

შრომის საფასური - ძველი იგავის მიხედვით 37

როგორ დაარსდა თბილისი? - იაკობ გოგებაშვილის მიხედვით 38

გრამატიკული საკითხები

1. ლექსიკა, სინონიმები, ანტონიმები, მართლწერა, სასვენი ნიშნები.
2. არსებითი, ზედსართავი და ნაცვალსახელები.
3. ზმნა, ზმნის დრო.
4. წინადადებების აწყობა.
5. თემების ინტეგრირება, შედარება და ანალიზის უნარების განვითარება.

წიგნი ვის ეკუთვნის?

ერთი მოხუცი კაცი გარდაიცვალა. სიკვდილის წინ მან თავის ვაჟებს სხვა ქონებასთან ერთად „ვეფხისტყაოსანიც“ დაუტოვა. ძმები ჩხუბობდნენ. ორივე ცდილობდა, წიგნი მას დარჩენოდა. მოდავე ძმებს მეზობელმა უთხრა:
- თქვენ უთუოდ ძლიერ გიყვართ კითხვა და ბევრი წიგნიც წაგიკითხავთ, რადგან მის გამო ასე ჩხუბობთო.
- ძმებმა თავები დახარეს. მათ ვერც ერთი წაკითხული წიგნი ვერ გაიხსენეს, რადგან წიგნებს არ კითხულობდნენ!
- მაშ, თქვენ იმ ორ სასაცილო კაცს ჰგავხართ, თავზე თმა რომ აღარ ჰქონდათ და სავარცხლის გამო ერთმანეთს თავ-პირს ამტვრევდნენო, - ჩაილაპარაკა მეზობელმა.

იაკობ გოგებაშვილის მიხედვით

1. მხიარული ლექსიკონი

ვიდრე ტექსტის გარჩევას დაიწყებთ, სთხოვეთ მოსწავლეებს, ტექსტში ბუნდოვანი და უცნობი სიტყვები იპოვონ. შემდეგ კი შეეცადონ გამოიცნონ, ივარაუდონ, რას უნდა ნიშნავდეს თითოეული. პარალელურად კი დაფაზე შექმენით მხიარული ლექსიკონი.

ქონება - სიმდიდრე, ფასეული ნივთების, საგნებისა და სხვათა ერთობლიობა, რომელიც ვინმეს ან რაიმეს ეკუთვნის.
მოდავე - პირი, რომელიც ვინმეს ედავება, ეკამათება.
უთუოდ - უეჭველად, ნამდვილად.

2. ტექსტის მასაზრდოებელი შეკითხვები:

1. სხვა ქონებასთან ერთად, რა დაუტოვა ვაჟებს მოხუცმა მამამ?
2. როგორ მოიქცნენ ძმები?
3. რა უთხრა ძმებს მეზობელმა?
4. რატომ დახარეს ძმებმა თავები?
5. ვის შეადარა მოჩხუბარი ძმები მეზობელმა?

3. თამაში – სიტყვების ჯაჭვი:

ტექსტში გამოყენებულ სიტყვათა სინონიმებისა და ანტონიმების სქემის შექმნის მხიარული აქტივობისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ მოცემული ფორმა ან მსგავსი შესთავაზოთ მოსწავლეებს.

ტექსტში არსებული სიტყვა	სინონიმი	ანტონიმი
გარდაიცვალა		
ჩხუბობდნენ		
სასაცილო		

ია ჩრდილოეთ პოლუსზე

ერთ დილას ჩრდილოეთ პოლუსზე დიდი თეთრი დათვი უჩვეულო შეგრძნებამ გამოაღვიძა. ჰაერში ისეთი სურნელი ტრიალებდა, რომლის მსგავსი აქამდე არ ეყნოსა.

– რისი სუნია? ექსპედიციაა თუ ექსპოზიცია, ის ხომ არ ჩამოვიდა? - ჰკითხა დიდმა დათვმა დედა დათვს და ცხვირი ააცმაცუნა.

სულ მალე ბელების ჟრიამული მოესმათ. ისინი თავს წასდგომოდნენ უცნაურ იისფერ არსებას, რომელსაც ყინულიდან ამოჩრილი იისფერი თავი ამაყად აეღირა და ჰაერს ბრწყინვალე სუნით ავსებდა.

- დედიკო, მამიკო, აქ მოდით, - ჭყიოდნენ ბელები.

- აი, ხომ ვთქვი, რაღაც უცნაური ხდება-მეთქი, - ჩაიბურდღუნა მამა დათვმა.

არადა, სულაც არ უთქვამს ასეთი რამე.

- არა მგონია, თევზი იყოს, - დაამატა ყოვლისმცოდნის იერით.

- რა თქმა უნდა, თევზი არ არის, - დაუდასტურა დედა დათვმა, - არც ჩიტია.

- მართალი ხარ, - თავი დაუქნია მამა დათვმა კარგა ხნის ფიქრის შემდეგ.

სანამ დაღამდებოდა, ახალი ამბავი მთელ ჩრდილოეთ პოლუსს მოედო: დათვების ბუნაგის სიახლოვეს უცნაური არსება გაჩენილიყო, რომელიც ყინულში ცალ ფეხზე იდგა, ადგილს არ იცვლიდა და იისფერ ქოჩორზე შესანიშნავი სურნელი ასდიოდა.

მის სანახავად ოთხივე კუთხიდან დაიძრნენ მნახველები. ცხოველები ინტერესით ათვალიერებდნენ უცნაურ არსებას, მის სურნელს ისრუტავდნენ და ერთმანეთს ეკითხებოდნენ, ასეთი რამ სხვაგანაც თუ გინახავთო. გასაკვირი კი ის იყო, რომ რაც მეტს იყნოსავდნენ, სურნელი უფრო მძაფრად ტრიალებდა ჰაერში. არადა, წესით უნდა შესუსტებულიყო, გამქრალიყო.

ბოლოს თოლია მოფრინდა, სამხრეთის ქვეყნებში რომ ჰყავდათ ამბის გასაგებად გაგზავნილი. მოიტანა კიდეც ამბავი - ეს თურმე ყვავილია, ია ჰქვია და თბილ ქვეყნებში სულ ბღუჯა-ბღუჯა ხარობსო.

ჯანი როდარი

1. მხიარული ლექსიკონი

სთხოვეთ მოსწავლეებს უცნობი სიტყვები იპოვონ. შემდეგ კი შეეცადონ გამოიცნონ, ივარაუდონ, რას უნდა ნიშნავდეს თითოეული. პარალელურად კი დაფაზე შექმენით მხიარული ლექსიკონი.

ჩრდილოეთ პოლუსი – დედამიწის ყველაზე ჩრდილოეთ წერტილი, სადაც მუდამ ყინულია.
ექსპედიცია – ადამიანთა ჯგუფის გამგზავრება სპეციალური დავალების შესასრულებლად.
ექსპოზიცია – გამოფენა.

2. ტექსტის მასააზრებელი კითხვები:

1. რა ფერის იყო უცნაური არსება, რომელიც ბელებმა აღმოაჩინეს?
2. რატომ ეუცხოვათ იის სურნელი ბელებს?
3. ტექსტის მიხედვით, სად ხარობს ია დიდი რაოდენობით?
4. ვისი სიტყვებია: „აი, ხომ ვთქვი, რაღაც უცნაური ხდება-მეთქი“?
5. რა მიზნით გააგზავნეს თოლია სამხრეთის ქვეყნებში?
6. რატომ შეიკრიბნენ ცხოველები იის გარშემო?
7. რა ახალი ამბავი მოიტანა თოლიამ სამხრეთიდან?
8. როგორ ადამიანს შეადარებდი დიდ დათვს?

3. ტექსტის ილუსტრირება

სთხოვეთ მოსწავლეებს, ქვემოთ მოცემული ორი ფრაზიდან აირჩიონ ერთ-ერთი და დახატონ ან წარმოსახვით აღწერონ:

1. „ყინულში ცალ ფეხზე იდგა, ადგილს არ იცვლიდა და იისფერ ქოჩორზე შესანიშნავი სურნელი ასდიოდა.“
2. „ცხოველები ინტერესით ათვალიერებდნენ უცნაურ არსებას.“

4. წერითი აქტივობა

სთხოვეთ მოსწავლეებს, შეარჩიონ მოცემული თემებიდან ერთ-ერთი და შეასრულონ წერითი დავალება.

თემა 1: რა ხდება, როცა ბუნებაში რაღაც ახალი ჩნდება, ანუ როგორ რეაგირებენ ადამიანები ან ცხოველები უცნობ მოვლენებზე?

თემა 2: იის თავგადასავალი ჩრდილოეთ პოლუსზე - შემთხვევითი მოვლენაა თუ ბუნების სასწაული. როგორ წარმოგიდგენიათ, როგორ მოხვდა ია იქ?

კოჭლი კაცი

ქუჩაში მიდიოდა ჯოხზე დაყრდნობილი კოჭლი კაცი. უკან ბიჭები მიჰყვებოდნენ, დასცინოდნენ და აჯავრებდნენ. კაცი აბეზრებს ხმას არ სცემდა, თუმცა, ეტყობოდა, დაცინვა გულს უკლავდა.

ამ დროს გზად ერთი მოხუცი კაცი შემოხვდათ. მან ბიჭებს უთხრა:

- ბავშვებო, გინდათ, ამ კოჭლი კაცის ამბავი გიამბოთ? ვიცნობ მას. ბიჭები შეჩერდნენ.

- ახალგაზრდობაში ის ძალიან ლამაზი და მამაცი ვაჟკაცი იყო, - დაიწყო მოხუცმა თხრობა, - ერთ დღეს მეზობლად ხანძარი გაჩნდა. ცეცხლმოკიდებულ სახლში დედას პატარა შვილი დარჩა. საბრალო ქალი ყველას ემუდარებოდა, ბავშვი გადამირჩინეთო. ამ კაცმა სახლს კიბე მიაყუდა, ცეცხლში შევარდა და ცოტა ხანში მესამე სართულიდან თოკმობმული კალათით ბავშვი ჩამოუშვა. თვითონ კიბით ჩამოდიოდა, მაგრამ კიბე ჩაიმტვრა, კაცი სიმაღლიდან გადმოვარდა და ფეხი მოიტეხა. სწორედ მას შემდეგ დაკოჭლდა... აი, ახლა უკვე იცით მისი ამბავი. მიდით, დაედევნეთ და დასცინეთ!

ბიჭები არ განძრეულან. თავჩაღუნულები და ხმაგაკმენდილები იდგნენ. ზოგს თვალზე ცრემლიც კი მოადგა.

იაკობ გოგებაშვილი

1. მხიარული ლექსიკონი

სთხოვეთ მოსწავლეებს ტექსტში იპოვონ უცნობი სიტყვები. შემდეგ კი შეეცადონ გამოიცნონ, ივარაუდონ, რას უნდა ნიშნავდეს თითოეული. პარალელურად კი დაფაზე შექმენით მხიარული ლექსიკონი.

კოჭლი - ვისაც/რასაც რაიმე დეფექტის გამო სიარული უჭირს.
აბეზარი - შემაწუხებელი, მომაბეზრებელი.
მოხუცი - ასაკოვანი ადამიანი.
თხრობა - ამბის მოყოლა.
ხანძარი - ძალიან დიდი, გამანადგურებელი ცეცხლი.
ხმაგაკმენდილები - ჩუმად მყოფნი.

2. ტექსტის მასაზრებელი კითხვები:

1. ჩამოთვალე მოთხრობის პერსონაჟები.
2. რა მიზანი ჰქონდა მოხუცს?
3. როგორ ფიქრობ, რატომ ჰქვია მოთხრობას „კოჭლი კაცი“?
4. რას გვასწავლის მოთხრობა?
5. მოხუცი კაცის საქციელი ბიჭების მიმართ იყო: საყვედური, ინფორმაციის მიწოდება თუ დარიგება?
6. ტექსტში ვკითხულობთ: „კაცი სიმაღლიდან გადმოვარდა და ფეხი მოიტეხა. სწორედ მას შემდეგ დაკოჭლდა“. ეს წინადადება არის: მოსაზრება, ფაქტი თუ ვარაუდი?

მოსაზრება - 1. რაიმე აზრის გაჩენა, მოფიქრება. 2. თვალსაზრისი, აზრი.
ფაქტი - ნამდვილად მომხდარი ამბავი, მოვლენა, შემთხვევა.
ვარაუდი - წინასწარი აზრი რაიმეს ან ვინმეს შესახებ, ამგვარი აზრის ქონა, დაშვება.

3. მხიარული თამაში „სასვენი ნიშნები“

მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს შესთავაზოს, მოირგონ „დეტექტივის“ როლი და ტექსტში არსებული ყველა სასვენი ნიშანი გამოააშკარაონ, აღნიშნონ, რა როლი აქვთ მათ ტექსტში.

.	- წერტილი: აღნიშნავს წინადადების დასასრულს.
,	- მძიმე: ერთმანეთისაგან გამოყოფს ჩამოთვლილ სიტყვებს ან წინადადების ნაწილებს.
?	- კითხვის ნიშანი: გამოხატავს შეკითხვას.
!	- ძახილის ნიშანი: გამოხატავს ბრძანება-მოწოდებას.
:	- ორწერტილი: ამ ნიშანს მოსდევს სხვისი ნათქვამი ან სიტყვათა ჩამონათვალი.
. . .	- მრავალწერტილი: აღნიშნავს, რომ კიდევ დარჩა რაღაც სათქმელი.

წიფლისჩიტა

მესამედ მოვიდა წვიმა. ყვავილებმა თავები ამოიჩინეს მიწიდან, ნორჩმა ბალახმა კოხტად ამოყო თავი, ამობზინდა, გაუცინა წვიმას, თავი დაუკრა არემარეს.

ფრინველნი დიდ მხიარულებაში იყვნენ; ისმოდა სტვენა, ჟივილ-ხივილი; გუგული მხიარულობდა, ზეიმობდა მოგზაურობიდან შინ მშვიდობით დაბრუნებას. კოდალა ანგრევდა იქაურობას. წიპრია შესძახოდა წვიმას: „დაწვიმე, დაწვიმეო!“

მხოლოდ ერთი ღაბუა, გულწითელი წიფლისჩიტა იჯდა პატარა წიფლის შიმელზე დაღონებული და ტიროდა; თვალებიდან ცრემლები ჩამოსდიოდა. ეს ცრემლები უხდებოდა მის თვალებს, ლამაზ სახეს, კოხტა მოშავო ნისკარტს. წიფლისჩიტა დასტიროდა თავის დანგრეულ ბუდეს, ენანებოდა თავისი სამი კვირის შრომა და ჯაფა...

ამ დროს წიფლისჩიტას ახლოს ია იშლებოდა, მაგრამ ჯერ არ ამოჩენილიყო. ჩიტი რომ ტიროდა, სწორედ იმ დროს ამოაჩინა თავი, გადიყრევინა თავიდან წიფლისა და თხილის ხმელი ფოთლები და მიაფრქვია სურნელება ტყეს.

წიფლისჩიტას იის სუნი ეცა და თვალები გაახილა - თურმე ჩასძინებოდა და ის თავისი დანგრეული ბუდეც სიზმარში ენახა! რა ბედნიერად იგრძნო ჩიტმა ამ დროს თავი! გაექანა ბუდისაკენ და ნახა, რომ მთელი იყო, ბუდისათვის ხელი არავისაც არ ეხლო.

ჩიტმა დიდი მადლობა შესწირა ღმერთს, ტყეს, ყველა მცენარეს, ფრინველთა და ნადირთაც კი. სიხარულისაგან აღარ იცოდა, რა ექნა, დაიწყო სრიალი: წიფლის შიმელიდან დიდ ჭადარს მოევლო წვერებში; იქიდან დასრიალდა თავქვე, დააჯდა თავზე ნორჩ ჩადუნას, ჩადუნიდან გადაჯდა ბუერაზე, ბუერიდან მიესალმა გუგულისკაბას, გუგულისკაბიდან მიგოგდა პატარა წყაროსთან, დალია ორი-სამი წვეთი წყალი და შემოსძახა გალობა.

ვაჟა-ფშაველა

1. მხიარული ლექსიკონი

სთხოვეთ მოსწავლეებს ტექსტში იპოვონ უცნობი სიტყვები. შემდეგ კი შეეცადონ გამოიცნონ, ივარაუდონ, რას უნდა ნიშნავდეს თითოეული. პარალელურად კი დაფაზე შექმენით მხიარული ლექსიკონი.

წიპრია - პატარა ჩიტი.
შიმელი - ამონაყარი, ნორჩი ხე.
ღაბუა - ფრინველი, რომელსაც ყელზე ფაფუკი ბუმბული აქვს.
ჩადუნა - უყვავილო, ბალახოვანი მცენარე.
ბუერა - უყვავილო, ბალახოვანი მცენარე.
გუგულისკაბა - ბალახოვანი მცენარე წითელწინწკლებიანი ფოთლებითა და მოწითალო ყვავილებით.

2. ტექსტის მასაზრებელი კითხვები:

1. როგორ არის აღწერილი ტექსტში გაზაფხული?
2. რატომ ტიროდა წიფლისჩიტა?
3. რამ გამოაფხიზლა წიფლისჩიტა?
4. ვის გადაუხადა მადლობა წიფლისჩიტამ?

3. წერითი აქტივობა

სთხოვეთ მოსწავლეებს, წაიკითხონ ტექსტი და ნაბიჯ-ნაბიჯ შეასრულონ ინსტრუქცია. დაარქვან ტექსტის ეპიზოდებს სახელი, შეუსაბამონ ემოცია, დაწერონ ემოციის გამომწვევი მიზეზი:

ტექსტის ეპიზოდი	ემოცია	მიზეზი

4. ვიზუალური აქტივობა – წიფლისჩიტას ემოციების რუკა

სთხოვეთ მოსწავლეებს, სქემაზე დაყრდნობით შეავსონ წიფლისჩიტას ემოციების რუკა.

ბრძენი აზრს იცვლის

- ადამიანი იმისთვის დაიბადა, რათა მიწაზე იცხოვროს, - თქვა ბრძენმა.

ადამიანი გადაეშვა წყალში, ცურვა ისწავლა.

ბრძენმა კეფა მოიფხანა და თავისი ნათქვამი შეასწორა:

- ადამიანი იმისთვის დაიბადა, რათა იცხოვროს ხმელეთზე და წყალში.

ადამიანმა გამოიგონა თვითმფრინავი და ისწავლა ფრენა.

ბრძენმა კიდევ მოიქექა კეფა და კიდევ შეასწორა თავისი ნათქვამი:

- ადამიანი იმისთვის დაიბადა, რათა იცხოვროს ხმელეთზე, წყალსა და ჰაერში.

ადამიანი გაემგზავრა კოსმოსში, სადაც არც წყალია, არც - მიწა და არც - ჰაერი.

დაფიქრდა ბრძენი და საბოლოოდ დაასკვნა:

- ადამიანის შესაძლებლობები უსაზღვროა.

ჯანი როდარის მიხედვით

1. მხიარული ლექსიკონი

სთხოვეთ მოსწავლეებს ტექსტში იპოვონ უცნობი სიტყვები. შემდეგ კი შეეცადონ გამოიცნონ, ივარაუდონ, რას უნდა ნიშნავდეს თითოეული. პარალელურად კი დაფაზე შექმენით მხიარული ლექსიკონი.

ბრძენი - ღრმად მოაზროვნე, ნიჭიერებით გამორჩეული.
კეფა - ადამიანის თავის უკანა ნაწილი.
უსაზღვრო შესაძლებლობები - ადამიანის უნარი, აკეთოს ისეთი რამ, რასაც მანამდე ვერ წარმოიდგენდნენ.

2. ტექსტის მასააზრებელი კითხვები:

1. რატომ შეცვალა ბრძენმა თავისი აზრი პირველად?
2. როგორ იმოქმედა თვითმფრინავის გამოგონებამ ბრძენის აზრზე?
3. როგორ ფიქრობთ, ბრძენი თავიდანვე რატომ არ ფიქრობდა, რომ ადამიანის შესაძლებლობები უსაზღვროა?

3. წერითი აქტივობა

შეგიძლიათ მოსწავლეებს შესთავაზოთ შეკითხვები არგუმენტირებული წერილობითი პასუხებისთვის, ისინი კი სურვილისამებრ აარჩევენ ერთ-ერთს.

1. „მართალია თუ არა, რომ ადამიანის შესაძლებლობები უსაზღვროა?“
2. „რას უნდა ემსახურებოდეს ადამიანის შესაძლებლობები?“

4. ილუსტრაციის შექმნა

ინსტრუქცია - შეარჩიეთ ერთ-ერთი ფრაზა და შექმენით მისი ილუსტრაცია:

1. „ადამიანი გადაეშვა წყალში, ცურვა ისწავლა.“
2. „ადამიანმა გამოიგონა თვითმფრინავი და ისწავლა ფრენა.“
3. „ადამიანი გაემგზავრა კოსმოსში, სადაც არც წყალია, არც მიწა და არც ჰაერი.“

იაკობის მოსაკითხად

ერთხელ იაკობ გოგებაშვილი ავად გახდა. მისი ნამოწაფარი და მეგობარი, ცნობილი მწერალი, ნიკო ლომოური მივიდა მის სანახავად.

მოიკითხა, ნუგეში სცა, მალე მორჩენა უსურვა და გამოთხოვებისას ხელზე ემთხვია. იაკობმა ითაკილა ასეთი პატივისცემა და უთხრა:

- შე კაი კაცო, მღვდელი ხომ არა ვარ, ხელზე რომ მემთხვიო?!

- შერცხვეს ის მღვდელი, შენზე მეტად ღირსი იყოს ხელზე მთხვევისო, - უპასუხა თურმე მისმა უსაზღვროდ პატივისმცემელმა და მოთაყვანე ნიკო ლომოურმა.

იაკობს მეტად აუჩუყა გული ნიკო ლომოურის ასეთმა ყურადღებამ და თვალებზე ცრემლი მოერია.

თედო სახოკია

1. მხიარული ლექსიკონი

სთხოვეთ მოსწავლეებს ტექსტში იპოვონ უცნობი სიტყვები. შემდეგ კი შეეცადონ გამოიცნონ, ივარაუდონ, რას უნდა ნიშნავდეს თითოეული. პარალელურად კი დაფაზე შექმენით მხიარული ლექსიკონი.

ნამოწაფარი - ყოფილი მოსწავლე.
ნუგეში სცა - დაამშვიდა, გაამხნევა, დადებითი სიტყვები უთხრა.
გამოთხოვებისას - გამომშვიდობების დროს, წასვლისას.
ითაკილა - მოერიდა, იუხერხულა გადაჭარბებული პატივისცემა.
შე კაი კაცო - თბილი მიმართვა, ე.ი. „კარგო ადამიანო“.
მეტად აუჩუყა გული - ძლიერ ემოციურად იმოქმედა მასზე.
მოთაყვანე - დიდ პატივს რომ სცემს, თაყვანისმცემელი.
ცრემლი მოერია - თვალზე ცრემლი მოადგა, ემოციისგან თითქმის ატირდა.

2. ტექსტის მასაზრებელი კითხვები:

1. ვინ მივიდა იაკობ გოგებაშვილის სანახავად და რატომ?
2. რას ნიშნავდა ნიკო ლომოურის ქმედება (ხელზე მთხვევა)?
3. როგორ მიიღო იაკობმა ეს ქმედება და რა უპასუხა ნიკომ?
4. ტექსტის მხედვით, როგორია ნიკო ლომოურის დამოკიდებულება იაკობ გოგებაშვილის მიმართ?

5. რატომ მოერია იაკობს ცრემლი?

6. რას გვასწავლის ეს ტექსტი მეგობრობისა და პატივისცემის შესახებ?

3. მხიარული გრამატიკა

როგორ გამოვიყენოთ ტირე - ტირე ორი დეფისისხელა ხაზია და ის წინადადებაში გამოტოვებული სიტყვის ადგილს იკავებს.

დააკვირდით მაგალითს: შვილი წავიდა სკოლაში, ხოლო მამა - სამსახურში. აშკარაა, რომ წინადადების მეორე ნაწილში გამოტოვებულია ზმნა „წავიდა“ და ამის მაჩვენებელია ტირე.

გამოიცანი, რომელი სიტყვების ადგილს იკავებს ტირე შემდეგ ფრაზებში: ვაჟა დაიბადა ჩარგალში, ილია ჭავჭავაძე - ყვარელში. დავით გურამიშვილმა დაწერა „დავითიანი“, შოთა რუსთაველმა - „ვეფხისტყაოსანი“.

გათავისუფლება

სიმინდს ვთოხნიდი. წყალი შემომაკლდა. თოხი დავაყუდე, მათარა ავიღე და წყაროზე წავედი. წყარო ზემოთ იყო, სათიბებს იქით.

ბილიკს რომ მივუყვებოდი, კუს გადავეყარე. - ამ კუს შვილებს მივგვრი-მეთქი! - ავიყვანე. ჯერ შეიმალა, მერე ფარჩხავდა და ასავსავებდა ფეხებს, მაგრამ ამაოდ - ხელიდან ვერ მეშვებოდა. საკმაოდ მძიმეც იყო. - რად მინდა, რომ ასე ვატარო-მეთქი?! - სუფთა ადგილას ზურგზე დავაწვინე. კუ ხომ თვითონ ვერ გადაბრუნდებოდა, ჩამოვივლიდი და წავიყვანდი.

მივედი წყაროსთან, წყალი დავლიე, ხელ-პირი დავიბანე, გავგრილდი, მათარაც გავავსე და წამოვედი. სადაც კუ დავტოვე, იმ ადგილას მეორე კუც დავინახე, ზურგზე ამობრუნებულ კუსთან მისულიყო, ფეხებგაფარჩხული და კისერწაწვდილი უყურებდა. ერთი ვნახო, რას იზამენ-მეთქი. გავჩერდი, ვუყურებ.

ზურგზე ამობრუნებული კუ ფეხებს ასავსავებს. მეორე კუ მივიდა. წინა ფეხზე შეაბობღდა და ზედ მთელი სიმძიმით დააწვა. ზურგზე ამობრუნებულმა კუმ გადმოიწია, გადმოიწია ღონივრად, გადმობრუნდა, ერთი მიმოიხედა და გაჩქარებული გადავიდა ბალახიანში. მიჰყვა მეორე კუც. მიდიოდნენ ერთმანეთის გვერდით, თან თითქოს აღელვებულნი მილაპარაკობდნენ.

მე ღიმილითა და ხელის აწევით დავემშვიდობე. კუნელის კენწეროზე მწყერჩიტა იჯდა და მაღლიდან დაგვგალობდა ყველას.

რევაზ ინანიშვილი

1. მხიარული ლექსიკონი

სთხოვეთ მოსწავლეებს ტექსტში იპოვონ უცნობი სიტყვები. შემდეგ კი შეეცადონ გამოიცნონ, ივარაუდონ, რას უნდა ნიშნავდეს თითოეული. პარალელურად კი დაფაზე შექმენით მხიარული ლექსიკონი.

მათარა - წყლის პატარა ჭურჭელი.
სათიბი - მინდორი, სადაც ბალახს თიბავენ.
წყარო - წყლის ნაკადი, რომელიც მიწიდან ან კლდიდან გამოდის.
ბილიკი - ვიწრო გზა, რომელზეც ფეხით დადიან.
გადავეყარე - შემთხვევით შევხვდი.
ამაოდ - უშედეგოდ.
ღონივრად - მთელი ძალით.
მიმოიხედა - იქით-აქეთ, გარშემო გაიხედა; გაიხედ-გამოიხედა.
დაგვგალობდა - ზემოდან დაგვმღეროდა.

2. ტექსტის მასაზრებელი კითხვები:

1. რას აკეთებდა ბავშვი ყანაში?
2. რატომ წავიდა წყაროზე?
3. ვის შეხვდა გზაში?
4. რატომ დატოვა კუ ზურგზე გადაბრუნებული?
5. რა მოხდა, როცა უკან ბრუნდებოდა?
6. როგორ დაეხმარა მეორე კუ მეგობარს?
7. როგორ მოიქცა კუ, როცა გადაბრუნდა?
8. როგორ ფიქრობ, რატომ დაეხმარა მეორე კუ მეგობარს?
9. შენ როგორ მოიქცეოდი, კუ რომ გენახა ასე?
10. იყო თუ არა ბავშვი ყურადღებიანი ბუნების მიმართ?
11. რას გვასწავლის ეს ამბავი მეგობრობაზე, დახმარებაზე?

3. მხიარული გრამატიკა

წაიკითხე წინადადებები. მონიშნე ზმნები (მოქმედების გამომხატველი სიტყვა) და შეავსე სქემა ნიმუშის მიხედვით.

წინადადება	**ზმნა**	**ვინ /რა**	**როდის?**
სიმინდს ვთოხნიდი.	**ვთოხნიდი**	**მე**	**წარსულში**
წყაროზე წავედი.	?	?	?
კუს გადავეყარე.	?	?	?
მწყერჩიტა დაგვგალობდა.	?	?	?

სიმღერა

ცა ნაცრისფრად გაცრეცილა,
თოვლი მოდის,
თოვს...
ენძელები ცვივა ციდან,
თოვლი მოდის,
თოვს...
ფანტელ-ფანტელ, ფთილა-ფთილა
თოვლი მოდის,
თოვს...
თვალებსა გვჭრის ზამთრის დილა,
თოვლი მოდის,
თოვს...
- აბა, გუნდა! -
- აბა, ციგა! -
ნუ დავკარგავთ დროს! -
თოვლი მღერის,
თოვლი ცეკვავს,
თოვლი მოდის,
თოვს.

გივი ჭიჭინაძე

1. მხიარული ლექსიკონი

სთხოვეთ მოსწავლეებს ტექსტში იპოვონ უცნობი სიტყვები. შემდეგ კი შეეცადონ გამოიცნონ, ივარაუდონ, რას უნდა ნიშნავდეს თითოეული. პარალელურად კი დაფაზე შექმენით მხიარული ლექსიკონი.

გაცრეცილა - ფერი დაუკარგავს, გახუნებულა.
ენძელები - თეთრი, სიფრიფანა ყვავილები; აქ: თოვლის ფანტელების სიმბოლოა.
გუნდა - თოვლისგან გაკეთებული მრგვალი ბურთი.
ციგა - ზამთრში თოვლზე სასრიალო საშუალება.

2. ტექსტის მასაპზრებელი კითხვები:

1. როგორია ამ ლექსში აღწერილი ცა?
2. რას ადარებს ავტორი თოვლის ფანტელებს?
3. რომელი ხმოვანი გამეორება ქმნის ლექსში მუსიკალურობას?
4. რას აკეთებენ ბავშვები ზამთარში, როცა თოვლი მოდის?
5. რატომ შეიძლება ითქვას, რომ თოვლი „მღერის“ და „ცეკვავს“?

მოძებნე ლექსში ერთმანეთთან გარითმული სიტყვები. დაასახელე, რომელი სიტყვები და ბგერები გამეორდა.

3. ტექსტის ილუსტრირება

აარჩიე ლექსის ნებისმიერი მონაკვეთი და დახატე.

აკვანი

რუსთავი - შოთას აკვანი,
ტანძია - სულხან-საბასი,
ვცეთ საგურამოს თაყვანი
დავითის ცრემლთა საფასით.
ყვარელში ფიქრობს ილია,
ქართლს ააცდინოს ურიგო,
საჩხერეს ტკბილი ბულბული
მღერის აკაკის „სულიკოს“.
ჩარგალში ყველა ჩანჩქერი
ვაჟას ხმით მეჩურჩულება;
ყაზბეგში იწვის ყაზბეგი,
როგორც ჭაღარა თქმულება.
და უცბად შემომანათებს
დიდი სადროშო პირიმზის -
ბარათაშვილის, ბესიკის,
ორბელიანთა თბილისი.

გიორგი ლეონიძე

1. მხიარული ლექსიკონი

სთხოვეთ მოსწავლეებს ტექსტში იპოვონ უცნობი სიტყვები. შემდეგ კი შეეცადონ გამოიცნონ, ივარაუდონ, რას უნდა ნიშნავდეს თითოეული. პარალელურად კი დაფაზე შექმენით მხიარული ლექსიკონი.

აკვანი – ბავშვის ხის სარწეველა საწოლი.
ტანძია – სოფელი საქართველოში, სადაც დაიბადა სულხან-საბა ორბელიანი.
ცრემლთა საფასით – სევდისა და ტკივილის ფასად.
ბულბული – მგალობელი ფრინველი, აქ სიმბოლურად ნიშნავს პოეტს – აკაკის.
„სულიკო“ – აკაკი წერეთლის ცნობილი ლექსი და სიმღერა, სიყვარულისა და ნაღველის გამომხატველი.
მეჩურჩულება – ჩუმად, თბილად მესაუბრება.
ჭაღარა თქმულება – ძველი ამბავი.
ჩარგალი - სოფელი ფშავის არაგვის ხეობაში, სადაც დაიბადა ვაჟა-ფშაველა.

2. ტექსტის მასააზრებელი კითხვები:

1. რომელ მწერალთა სახელებია ნახსენები ამ ლექსში?
2. რას აღნიშნავს ამ ლექსში სიტყვა აკვანი?
3. მწერლების რომელი მშობლიური ადგილებია ლექსში დასახელებული?

3. მხიარული გრამატიკა – როგორი? რომელი?

ინსტრუქცია - მასწავლებელი დაფაზე წერს წინადადებებს და სთხოვს მოსწავლეებს - წაიკითხეთ წინადადებები, დააკვირდით ხაზგასმულ სიტყვას და განსაზღვრეთ, რომელი კითხვა შეესაბამება მას: **როგორი? რომელი? როდინდელი?**

თამარი საუკეთესო მოსწავლეა. ლუკა მესამე კლასში სწავლობს. მამამ ელენეს ნახატებიანი წიგნი უყიდა. გოგიმ შარშანდელი სახელმძღვანელოები მეზობელს აჩუქა. ჩემი შვილებიდან მხოლოდ უფროსი დადის სკოლაში. დიდედამ ელენეს ჭრელი ხელთათმანები მოუქსოვა. სპილო ძლიერი ცხოველია. მესამე წიგნი ზღაპრების კრებულია. კიბის მეხუთე საფეხური ჩატეხილია. ნინიკოს ლამაზი კაბა აცვია. გიორგის ცალხაზიანი რვეული სახლში დარჩა. ჩემი უმცროსი შვილი ექიმია. თამუნას დიდი თოჯინა აჩუქეს.

ყვავილები

ბოლო ხანებში პატარა მაია ძალიან გაცელქდა, გვიან იძინებდა, ამიტომ დილით ადრე ვეღარ დგებოდა.

- შვილო, - უთხრა ერთხელ ბებომ მაიას, - ძილის დრო რომ დადგება, ჩიტმაც კი თავისი ბუდე იცისო.

მაია ბებოს დარიგებას უხალისოდ ისმენდა.

- მზის ჩასვლისას ყვავილებიც კი იძინებენ, რომ დილით, მზის ამოსვლისას გაახილონ თვალიო, - განაგრძობდა ბებო ღიმილით.

ყვავილების ძილი ვის გაუგონია?! - გაკვირვებით წამოიძახა მაიამ.

- მაშ, კარგი! დღეს მზის ჩასვლისას დავაკვირდეთ, - მიუგო ბებომ.

დღე მიიწურა, მზე ჩავიდა.

ყვავილებმა სიფრიფანა ფოთლები ნელ-ნელა შეკუმშეს, თითქოს თვალებს ხუჭავენო. გაოცებულმა მაიამ ბებოსთან მიირბინა და უთხრა: - ბებო, ბებო, ყვავილებმა მართლაც დაიძინეს! ნეტავ, როდის გაიღვიძებენ?

- ხვალ დილით, მზის ამოსვლისას, - მიუგო ბებომ.

დილაადრიან მაიას ბებოს ხმა მოესმა. გოგონა მარდად წამოხტა და კიბეზე ჩაირბინა.

მზე ამოდიოდა, ყვავილები შეუმჩნევლად ხსნიდნენ პირს. ბუნება ხარობდა, ცაში ტოროლა გალობდა, ფუტკრები სკებიდან ზუზუნით გამოდიოდნენ და ცაცხვის ყვავილებს ეხვეოდნენ.

- რა კარგია დილა! დღეიდან გვიან აღარ ავდგები! - თქვა მაიამ და სუფთა ჰაერი ხარბად ჩაისუნთქა.

გიორგი შატბერაშვილი

1. მხიარული ლექსიკონი

სთხოვეთ მოსწავლეებს ტექსტში იპოვონ უცნობი სიტყვები. შემდეგ კი შეეცადონ გამოიცნონ, ივარაუდონ, რას უნდა ნიშნავდეს თითოეული. პარალელურად კი დაფაზე შექმენით მხიარული ლექსიკონი.

დარიგება - კეთილი რჩევა.
სიფრიფანა - ნაზი, მსუბუქი.
მარდად - სწრაფად, ჩქარა.
ტოროლა - ფრინველი, რომელიც დილით ადრიანად იღვიძებს და გალობს.

2. ტექსტის მასაზრებელი კითხვები:

1. რატომ უჭირდა მაიას დილით ადრე ადგომა?
2. რა მაგალითი მოიყვანა ბებომ, რომ მაია დაერწმუნებინა ძილის აუცილებლობაში?
3. როგორ რეაგირებდა მაია ბებოს დარიგებაზე თავდაპირველად და როგორ შეიცვალა მისი დამოკიდებულება ბოლოს?
4. როგორ აღწერს ავტორი დილის ბუნებას ტექსტის ბოლოს?
5. რას გვასწავლის ეს მოთხრობა ცხოვრების წესის შესახებ?

3. წერითი აქტივობა – პერსონაჟების საქმიანობები

ინსტრუქცია. გაიხსენე ტექსტი და შეავსე ცხრილი. შესაბამის უჯრაში დაწერე, რას აკეთებს თითოეული პერსონაჟი ტექსტში.

პერსონაჟი	რას აკეთებს ნაწარმოებში?
მაია	
ბებო	
ყვავილები	
მზე	
ფუტკრები	
ჩიტი	

გაიზრდები და დაგავიწყდება

ერთმა მოზრდილმა ბიჭმა მასზე პატარას ღილები წაართვა. ბალღი ტირილით იჭაჭებოდა და ის კი ღილებს არ უბრუნებდა. გიორგიმ ყური მოჰკრა ბალღის გულამომჯდარ ტირილს და მივარდა ღილების წამრთმეველს:

- მიეცი, რას ემართლებიო!

იმან ხელი ჰკრა და წააქცია. გიორგი წამოხტა და ქვას დასწვდა, მაგრამ უფროსმა ბიჭმა ისევ წააქცია და ცემა დაუწყო.

მიეშველნენ გიორგის ამხანაგები, ამოიდეს ქვეშ იმისი მცემელი,

წაართვეს ღილები და კარგადაც დაზილეს.

ღილები კი პატარა ბიჭს დაუბრუნეს, მაგრამ გიორგი კარგად იყო დაბეგვილი - ცხვირიდან სისხლი სდიოდა და ხალათის გულისპირიც სულ ჩამოეფხრიწათ.

იმის დანახვაზე დედას ელდა ეცა:

- ეგ რა არის, შვილო, მაჩვენე ერთი, რა გაქვს გატეხილი?

- თედომ მცემა.

- რადა?

- თედოს გოლასთვის ღილები წაერთმია. ჩვენ უკანვე გვინდოდა

გამოგვერთმია და ჩხუბი მოგვივიდა. მომერია, ის დიდია, მე - პატარა.

მერე წაართვით?

წავართვით.

რა უყავით?

ისევ გოლას მივეცით.

დედას ეამა და შუბლზე წარბი გაეხსნა.

- ნუ გეშინია, ცხვირი გაგიკაწრავს ცოტა, გაიზრდები და დაგავიწყდება, - უთხრა თავის შვილს.

- არ დამავიწყდება. დაიცა ერთი, გავიზარდო!.. მე ვუჩვენებ, ცემა როგორც უნდა.

არა, შვილო, - უთხრა დედამ, - ავი და ბოროტი გულში არ ჩაიდო, თორემ დაგამძიმებს და ამ მზიან ქვეყანაზე სიარული გაგიჭირდება...

მერე კი, როცა ცხვირ-პირი მოჰბანა და ხალათიც გამოუცვალა, დაუმატა:

- აი, ჩემო კარგო, ახლა უფრო ლამაზიცა ხარ.

პირდაბანილმა გიორგიმ თავის ტოლ-ამხანაგებს მიაშურა.

ილია ჭავჭავაძე
„ოთარაანთ ქვრივის“ მიხედვით

1. მხიარული ლექსიკონი

სთხოვეთ მოსწავლეებს ტექსტში იპოვონ უცნობი სიტყვები. შემდეგ კი შეეცადონ გამოიცნონ, ივარაუდონ, რას უნდა ნიშნავდეს თითოეული. ამის პარალელურად კი დაფაზე შექმენით მხიარული ლექსიკონი.

ბალღი - პატარა ბავშვი.
მივარდა - სწრაფად მივიდა.
ელდა ეცა - ძალიან შეეშინდა.
გატეხილი - აქ: დაშავებული, დაზიანებული.
რას ემართლები?! - რას ერჩი?!
გულისპირი - ტანსაცმლის ნაწილი, რომელიც მკერდს ფარავს.
შუბლზე წარბი გაეხსნა - სახე გაუნათდა, გაუხარდა.

2. ტექსტის მასააზრებელი კითხვები:

1. როგორ მოექცა ერთი მოზრდილი ბიჭი თავისზე პატარას?
2. როგორ მოიქცა გიორგი?
3. რა ეამა დედას?
4. რით დაემუქრა გიორგი მას, ვინც სცემა?
5. რა უთხრა ამის გამო დედამ?
6. როგორ შეაფასებთ გიორგის საქციელს?
7. როგორ შეაფასებთ მოზრდილი ბიჭის საქციელს?
8. თქვენ თუ გამოგსარჩლებიათ ვინმე?

4. წერითი დავალება

ანდაზა მოკლედ, სხარტად გამოთქმული სიბრძნეა. ანდაზაში ნათლად, მკაფიოდ ჩანს ხალხის დაკვირვება. რით გავარჩიოთ ანდაზა ჩვეულებრივი გამონათქვამისაგან? ანდაზა ხშირად ლექსივით იკითხება, ის უმეტესად ო ხმოვნით ბოლოვდება. ამბობენ: ანდაზა შემოკლებული, დაპატარავებული იგავ-არაკიაო. ხშირად იგავ-არაკებსა და მოთხრობებში ჭკუის სასწავლებ-ლად ანდაზებია ჩართული.

ამ ანდაზებიდან აარჩიე ერთ-ერთი და დაწერე, როგორ გესმის მისი შინაარსი.

1. „კაცი თუ გონიერია, სოფელი ღონიერია“.
2. „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“.
3. „სხვა სხვის ომში ბრძენიაო“.
4. „სამართალმა პური ჭამაო“.

შავი ზღვა

გამიგია, ზღვა ლურჯია
და ყოველთვის ლურჯად ვხატავ,
მამიკომ კი წუხელ გვითხრა:
- ვესტუმრებით მალე შავ ზღვას.

რატომ არის ნეტავ შავი?
როგორც იქნა, მივხვდი ახლა,
ალბათ მზეზე დიდხანს ყოფნით
დაიწვა და სულ გაშავდა.

ლელა ცუცქირიძე

1. მხიარული ლექსიკონი

სთხოვეთ მოსწავლეებს ტექსტში იპოვონ უცნობი სიტყვები. შემდეგ კი შეეცადონ გამოიცნონ, ივარაუდონ, რას უნდა ნიშნავდეს თითოეული.

2. ტექსტის მასაზრებელი კითხვები:

1. ვინ თქვა, რომ შავ ზღვას უნდა ესტუმრონ?
2. რატომ ჰგონია ბავშვს, რომ ზღვა შავია?
3. სინამდვილეში როგორი ფერი აქვს ზღვას? რატომ?

3. წერითი დავალება – ასოციაციური რუკა

ინსტრუქცია: შეარჩიე **ლექსიდან 5 მთავარი სიტყვა** (მაგ.: ზღვა, შავი, ლურჯი, მამიკო, მზეზე). შემდეგ თითოეული ეს სიტყვა ჩაწერე რგოლში და სიტყვების გარშემო დაწერე სიტყვები, რომლებიც მათ გახსენებენ. **მაგალითი:** ზღვა → ტალღები, ნავი, თევზი, სანაპირო, დელფინი...



ინსტრუქცია: გაიხსენე ლექსი და გამოიცანი გამოტოვებული სიტყვები.

გამიგია, ... ლურჯია.

მამიკომ კი წუხელ გვითხრა: ..... მალე შავ ზღვას.

ალბათ მზეზე დიდხანს ყოფნით ..... და ..... გაშავდა.

ნატვრა აუსრულდა

ერთხელ ქარიშხალმა ჩამოიქროლა. გვერდზე გადაბრეცილ დიდ ხეს მიაწვა და წააქცია.

მაღლობზე გადმოკიდებული ხე ზემოდან ზღვას დაჰყურებდა.ზღვაზე გემები გედებივით დასრიალებდნენ. აფრიანი ნავები აღმა-დაღმა დასეირნობდნენ. ასეთ გასეირნებაზე ხეც ოცნებობდა, სევდიანად ფიქრობდა:

- ეს ოცნება არასოდეს ამისრულდება! წაქცეული ხე ოცნებას როგორ შეისრულებს!

ხე ერთმა კაცმა იპოვა და მეგობრების დახმარებით სახლში წაიღო.

- დღეიდან ზღვასაც ვერ ვნახავ, - გაიფიქრა ხემ და თვალები მაგრად დახუჭა, - ამ კაცს ალბათ შეშად ვჭირდები.

კაცი ხეს თავს დასტრიალებდა, უკაკუნებდა, ჭრიდა, თლიდა:

- ნეტავ, რა უნდა? -ფიქრობდა გაკვირვებული ხე.

ერთხელ დიდი სატვირთო მანქანით სადღაც წაიღეს. ნუთუ, წყალში ჩაუშვეს! ხემ ზღვის სურნელი იგრძნო და თვალები გაახილა.

ეს სასწაული იყო! ის ზღვაში მიცურავდა! გვერდით პატარა გემმა ჩაუარა და საყვირით მიე-

სალმა. თავზე თოლიებმა გადაუფრინეს. მისმა პატრონმა წყალს ნიჩბები მაგრად მოუსვა... ხე წყალზე მსუბუქად გასრიალდა...

მიხვდა, რომ ნატვრა აუსრულდა! მოჭრილი ხე კი არა, უკვე ნავი იყო!

ნესტან კუპრავა

1. მხიარული ლექსიკონი

სთხოვეთ მოსწავლეებს ტექსტში იპოვონ უცნობი სიტყვები. შემდეგ კი შეეცადონ გამოიცნონ, ივარაუდონ, რას უნდა ნიშნავდეს თითოეული. ამის პარალელურად კი დაფაზე შექმენით მხიარული ლექსიკონი.

ქარიშხალი – ძლიერი ქარი, რომელსაც ახლავს წვიმა, სეტყვა და ზოგჯერ ელჭექი.
გემი – წყალზე მოძრავი დიდი ზომის სატრანსპორტო საშუალება.
გედი – დიდი ზომის წყლის ფრინველი, რომელიც გამოირჩევა გრძელი კისრით და დიდი ფრთებით.
აფრიანი ნავი – ნავი, რომელიც ქარის ძალით მოძრაობს აფრების საშუალებით.
ნატვრა – რაიმეს მიღწევის ძლიერი სურვილი, რომელსაც თან ახლავს იმედი.

2. ტექსტის მასაზრებელი კითხვები:

1. რა მოხდა მოთხრობის დასაწყისში და როგორ იმოქმედა ამ მოვლენამ ხეზე?
2. რაზე ოცნებობდა ხე და რატომ ფიქრობდა, რომ ვერ აისრულებდა ოცნებას?
3. რა მოხდა მას შემდეგ, რაც კაცმა ხე იპოვა და რა შეიცვალა?
4. რატომ იყო ზღვა ხისთვის მნიშვნელოვანი. როგორ აუხდა ოცნება?
5. როგორ შეიცვალა ხის მდგომარეობა მას შემდეგ, რაც ნავად გადაიქცა და რა იგრძნო მან?

3. წერითი აქტივობა – როგორ გამოვიყენოთ დეფისი

მთა-ბარი, ეზო-კარი, და-ძმა. ეს პატარა ხაზი სიტყვებს შორის დეფისია, რომელიც ყველაზე პატარა სიტყვის - და კავშირის - ადგილს იკავებს (მაგალითად, მთა და ბარი, აქ და-ს ნაცვლად იწერება დეფისი და მიიღება მთა-ბარი).

#	და კავშირის გამოყენება	დეფისის გამოყენება
1	მთა და ბარი	მთა-ბარი
2	ეზო და კარი	
3	და და ძმა	
4	დედა და შვილი	
5	დღე და ღამე	
6	ოქრო და ვერცხლი	
7	აღმა და დაღმა	

ზღაპარი ჯოხზე, რომელსაც საკუთარი თავი უსარგებლო ეგონა

ჯოხს მობეზრდა ხეხილის ბაღში, ბალახებში უსაქმოდ ყოფნა და მწარედ ატირდა:

- რამდენი ხანია, აქ უსაქმოდ ვიმყოფები, უკვე აღარავის ვჭირდები! როცა ხის ტოტი ვიყავი, სიცოცხლე მიხაროდა. ხე მოჭრეს, მე კი აქ მომისროლეს! ასე უსარგებლოდ დამთავრდა ჩემი სიცოცხლე!

იქვე ახლოს ვაშლის ხეც ტიროდა:

- არც მე ვარ კარგ დღეში! იმდენი ვაშლი მოვისხი, ვერ ვიმაგრებ, წელში ვერ ვიმართები! დიდი ტოტი აგერ-აგერ ჩამომატყდება! არავინ ხართ მადლიანი? მიშველეთ რამე!

ხეხილის ბაღში მარჯვე ბიჭუნამ-ჯაბამ ჩამოირბინა. დაინახა დიდი ვაშლებით გადავსებული ტოტი, მიხვდა ხის გასაჭირს, აიღო დაგდებული ჯოხი და დახუნძლულ ტოტს შეუყენა.

ესეც ასე! ჯოხი ხის საყრდენი გახდა, ამან გუნება უცებ გამოუკეთა:

- რა კარგია! ვიღაცას მეც გამოვადექი! თურმე უბრალო ჯოხიც კი საჭირო ყოფილა. ნუ გეშინია, ვაშლის ხევ, მე ძალიან მაგარი ვარ, უშიშრად დამეყრდენი!

- უკვე აღარ მეშინია! დიდი მადლობა, ჩემო კეთილო მეგობარო!-უპასუხა ვაშლის ხემ.

ნესტან კუპრავა

1. მხიარული ლექსიკონი

სთხოვეთ მოსწავლეებს ტექსტში იპოვონ უცნობი სიტყვები. შემდეგ კი შეეცადონ გამოიცნონ, ივარაუდონ, რას უნდა ნიშნავდეს თითოეული. ამის პარალელურად კი დაფაზე შექმენით მხიარული ლექსიკონი.

საყრდენი – დასაყრდნობი საგანი.
უსარგებლო – გამოუსადეგარი, უვარგისი.
მადლიანი – კეთილი, დამხმარე.
მარჯვე – სწრაფი და მოხერხებული.
გასაჭირი – სირთულე, პრობლემა.

2. ტექსტის მასაზრებელი კითხვები:

1. რატომ იყო ჯოხი მოწყენილი და რა აწუხებდა მას?
2. რა პრობლემა ჰქონდა ვაშლის ხეს და რას ითხოვდა ის?
3. როგორ დაეხმარა ჯაბა ვაშლის ხეს და რა გამოიყენა მან ამისთვის?
4. როგორ შეიცვალა ჯოხის განწყობა მას შემდეგ, რაც საყრდენად გამოიყენეს?
5. რა არის ამ მოთხრობის მთავარი სათქმელი? რას გვასწავლის ის?

3. წერითი დავალება

დაასრულე წინადადებები:

1. ჯოხს ეგონა, რომ ...
2. ვაშლის ხეს სჭირდებოდა დახმარება, რადგან ...
3. ჯაბამ იპოვა ჯოხი და ...
4. ზღაპრის ბოლოს ჯოხი მიხვდა, რომ ...

ნაცარქექია

ქართული ხალხური ზღაპარი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ნაცარქექია; მთელი დღე კერიასთან იჯდა და ნაცარს ქექავდა. ძმები ეჩხუბებოდნენ: - კაცო, ადექი, მიდექ-მოდექი, იმუშავე და ოჯახში რამე შემოიტანეო. რომ ვერაფერი გააწყვეს, ადგნენ და შინიდან გააგდეს. ნაცარქექიამ ძმებს ერთი გუდა ნაცარი, სადგისი და ჭყინტი ყველი სთხოვა. მისცეს ძმებმა ყველაფერი და ნაცარქექია ტირილით დაადგა გზას.

ცოტა იარა თუ ბევრი იარა, მიადგა ერთ მდინარეს, ვეღარ გაბედა წყალში გასვლა და დაჯდა ნაპირზე. საღამომდე იქ იცადა. საღამოს დაინახა, რომ ერთი უზარმაზარი დევი მოადგა წყალს გაღმით და დაუწყო ხვრეპა.

- ჰეი, შენ მანდ რომელი ხარ? აქ მოდი, მხარზე შემისვი და გაღმა გამიყვანე, ფეხის დასვეღება მეზარებაო! - დიდგულად გასძახა დევს ნაცარქექიამ. დევმა გამოხედა და გაკვირვებით ჰკითხა:

- ვინა ხარ და რა სულიერი, რომ მაგას მიბედავო?

- მე შენ გიჩვენებდი, ვინცა ვარ, რომ არ მებრალებოდე, შე ბრიყვო, შენა! იცოდე, სამჯერ გაპატიებ შეცდომას და მერე კი ცოცხალი ვეღარ გადამირჩებიო, - უპასუხა ნაცარქექიამ, - შენ ჩემი ამბავი არ გაგიგონია? მე ვერმიცანა მქვიან!.. ვერ გამიმეტებია, თორემ, დედამიწას რომ ხელი მოვავლო და ზეცას შევტყორცნო, ქვეყანა დაიქცევა. გინდა, ახლავე გიჩვენო ჩემი ძალა? აბა, შენ მანდ აიღე ერთი ქვა, მე აქ დავწვდები მეორეს, მოვუჭიროთ ხელი და, ვინც წვენს გამოადენს, კაციც ის იქნება და წვერ-ულვაშიც იმას ესხმისო!

აიღო დევმა ქვა, მოუჭირა ხელი და დაფშვნა. დაიხარა ძირს ნაცარქექია, ვითომ ქვას ვიღებო, ამოიღო კალთიდან ყველი, მოუჭირა ხელი და სულ წურწურ-წურწურით გაადინა წვენი. გაუკვირდა დევს, ეს ვინ ყოფილაო.

- აბა, ახლა რიყეზე გავიქცეთ და, ვინც უფრო მეტ ბდღვირს აადენს ჩვენ ორში, ბიჭიც ის იქნებაო, - კიდევ უთხრა ნაცარქექიამ.

გაძუნძულდა დევი გაღმით რიყეზე და სულ ლაწალუწი დააწყებინა სიპ ქვებს.

გაკუნკულდა ნაცარქექია, უჩხვლიტა და უჩხვლიტა გუდას სადგისი, გამოიბნა ნაცარი და ისეთი მტვერი ადგა, თვალით არა იხედებოდა რა.

შეშინდა დევი, დაღუნა თავი, მორჩილად ეახლა ნაცარქექიას და შეისვა მხარზე.

შუამდე რომ შევიდნენ წყალში, დევმა უთხრა:

- ბატონო ვერმიცანავ, როგორღაც მემჩატებიო!

- მემჩატებიო?! ჰმ, შენ რომ ჩემი სიმძიმის ამბავი იცოდე, მაგას აღარ წამოროშავდი. ახლა უჩინარი ბაწრით ცაზე რომ არ ვიყო მიბმული და იქ არ მიჭერდნენ, ქვესკნელში ჩაგიტანდი. აბა, ვნახოთ, ერთი ცოტათი შემიშვან ხელიო! - თქვა ნაცარქექიამ, ამოიღო უბიდან სადგისი და დააჭირა კისერზე.

- ვაიმე!.. ვაიმე!.. ნუ!.. ნუ, შენი ჭირიმე! უბრძანე, რომ ისევ აგწიონო, - შეეხვეწა დევი და ნაცარქექიამაც ამოაძრო კისრიდან სადგისი.

დარწმუნდა დევი, რომ ნაცარქექია მართლა საშინელი სულიერი იყო და მიიწვია თავის სახ-

ლში. დიდი პატივი სცა და ვახშმის მზადებას შეუდგა: მოზილა პური, ჩააკრა კეცში, მიუფიცხა ცეცხლს და ნაცარქექიას მორიდებით უთხრა: - მე ტყეში მივდივარ, ვახშმისათვის წავინადირებ, თუ არ გეწყინება, ყური უგდე პურს, არ დაიწვასო! პურს რომ ცალი გვერდი შეებრაწა, ნაცარქექიამ კეცის მობრუნება მოინდომა, დაუწყო საკეცით ჩხუკური; წამოიქცა კეცი, დაეცა ნაცარქექიას და ქვეშ მოიმწყვდია. დევი რომ დაბრუნდა, ნაცარქექია კეცქვეშ სულზე მიგდებული ნახა.

- რა დაგმართნიაო? - ჰკითხა.

- რა უნდა დამმართნოდა? მუცელი ამტკივდა და ზედ ცხელი კეცი დავიდე. ახლა კი გადამიარა, აღარა მიჭირს რა. მოდი, ეს კეცი ამაცალეო!

დევმა დაუჯერა და აუსრულა ბრძანება.

ვახშმად რომ დასხდნენ, დევმა უცებ ცხვირი დააცემინა და სტუმარი სხვენზე შეაგდო. ნაცარქექიამ კოჭს დაუწყო ბღაუჭი.

- მანდ რას შვრებიო? - ჰკითხა დევმა.

- როგორ თუ რას ვშვრები? ვისთან გაბედე შენ ცხვირის დაცემინება? ამ ჩხირს ავიღებ, დაგკრავ და სულს გაგაცხებინებო!

დევმა იფიქრა: ეს რა მოუსვენარი და ავგულა ვინმე ყოფილა! მე ძლივს გავუდევი ეს უშველებელი კოჭი, ეს კი ჩხირს ეძახის. ერთხელაც იქნება, შეცდომას არ შემარჩენს და ცოცხალი ვეღარ გადავურჩებიო!

დაჰკრა ფეხი, გავარდა კარში და ცხრა მთას იქით გადაიკარგა.

დევის სახლ-კარი და ავლადიდება კი ნაცარქექიას დარჩა.

წავიდა ნაცარქექია, მოიყვანა ძმები და ბედნიერად ცხოვრობდნენ.

ჭირი - იქა, ლხინი - აქა;

ქატო - იქა, ფქვილი - აქა.

1. მხიარული ლექსიკონი

სთხოვეთ მოსწავლეებს ტექსტში იპოვონ უცნობი სიტყვები. შემდეგ კი შეეცადონ გამოიცნონ, ივარაუდონ, რას უნდა ნიშნავდეს თითოეული. ამის პარალელურად კი დაფაზე შექმენით მხიარული ლექსიკონი.

კერია – სახლის დარბაზის შუაში ცეცხლის დასანთები ადგილი.
სადგისი – ლითონის წვეტიანი ჩხირი ხის ტარით.
ბდღვირს აადენს – მტვერს, კორიანტელს დააყენებს.
გაკუნკულდა – ჩქარი სიარულით წავიდა.
კეცი – გამომწვარი თიხის ჭურჭელი ცეცხლზე მჭადის, პურის გამოსაცხობად.
კოჭი – ოთახის მოპირდაპირე კედლებზე გადებული გათლილი ხის ძელი.
საკეცე – რკინის მოკეცილი ბრტყელი ჯოხი ცხელი კეცის გადმოსაღებად.

2. ტექსტის მასაზრებელი კითხვები:

1. რატომ გააგდეს ძმებმა ნაცარქექია?
2. რა წაიღო ნაცარქექიამ თან?
3. როგორ მოატყუა დევი ნაცარქექიამ?
4. რატომ გადაიკარგა დევი ცხრა მთას იქით?
5. რას გვასწავლის ეს ზღაპარი?

3. დაასახელე, რომელი ანდაზა შეეფერება ამ ზღაპარს:

1. „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“.
2. „ასჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერი“.
3. „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“.
4. „მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენო“.

4. ინსტრუქცია - ყურადღებით წაიკითხეთ "ნაცარქექია" და მისი შინაარსი გადმოეცით თხრობით ამ გეგმის მიხედვით:

1. სახლიდან გაგდება;
2. დევთან შეხვედრა;
3. პირველი შეჯიბრება;
4. მეორე შეჯიბრება;
5. მდინარეში გასვლა;
6. ცხელი კეცის ამბავი;
7. ნაცარქექიას გამარჯვება.

ყაყაჩოსა სიწითლითა

ფრთაგაშლილი მთები არის,
სხივგაშლილი სერებია...
არ ჩურჩულებს ლელიანი,
გული შეუჯერებია...
აქ კორდია მობიბინე,
იქ მზიანი ტევრებია...
- რად უსკდება გული ირემს?
- გელა გადამტერებია...
თეთრი ნისლი ნისლებს ირევს -
ეს ხომ „ლურჯა ცხენებია"?!
შვიდი ზეცა გადირბინეს,
არსად შეუსვენებიათ...
ამ მშვენიერ მინდორ-ველზე
რა ნაირი ფერებია!
„ყაყაჩოსა სიწითლითა
ყანა დაუმშვენებია"...

ანა კალანდაძე

1. მხიარული ლექსიკონი

სთხოვეთ მოსწავლეებს ტექსტში იპოვონ უცნობი სიტყვები. შემდეგ კი შეეცადონ გამოიცნონ, ივარაუდონ, რას უნდა ნიშნავდეს თითოეული. ამის პარალელურად კი დაფაზე შექმენით მხიარული ლექსიკონი.

ლელიანი - ლელით, ანუ მაღალი ბალახით დაფარული წყლისპირა ადგილი.
კორდი - ბალახიანი პატარა მინდორი.
ტევრი - ხშირი ტყე.
ირევს - იერთებს.

2. ტექსტის მასაზრებელი კითხვები:

1. წელიწადის რომელი დროა აღწერილი ლექსში?
2. რას შეადარა პოეტმა თეთრი ნისლები?
3. რომელი ხალხური ლექსის ნაწყვეტი აქვს გამოყენებული პოეტს?
4. რა იგულისხმება ლექსის ამ მონაკვეთში - „ყაყაჩოსა სიწითლითა ყანა დაუმშვენებია“...

3. გრამატიკული სავარჯიშო - რთული სიტყვები

რთული სიტყვები - ორი ან მეტი სიტყვის შეერთებით მიღებული ახალი სიტყვა არის რთული სიტყვა. მოძებნონ ლექსში რთული სიტყვები: ფრთაგაშლილი, სხივგაშლილი, მინდორ-ველი და დააკვირდნენ, როგორ იწერება? აღმოაჩენენ, ზოგიერთი რთული სიტყვა ცალ-ცალკე იწერება, ზოგიერთი კი - ერთად.

4. წერითი სავარჯიშო - აქვს თუ ჰყავს? მოაქვს თუ მოჰყავს?

ყველა სულიერი საგნის მიმართ ითქმის ჰყავს, მოჰყავს, ხოლო უსულო საგნების მიმართ - აქვს, მოაქვს. მაგალითად, ძაღლი ჰყავს, ცხვარი მოჰყავს, მაგრამ სახლი აქვს, თოკი მოაქვს. დაიმახსოვრეთ: ტრანსპორტის შესახებ ითქმის ჰყავს. მაგალითად: მანქანა ჰყავს, მანქანა მოჰყავს.

დაასრულე წინადადებები, გამოიყენე შესაბამისი სიტყვა - მოაქვს თუ მოჰყავს:
ნინოს ჩანთა ...
ნიკას ცხენი ...
გიორგის სათამაშო ...
ლაშას წიგნი ...
ლელას ძაღლი ...
ნოდარს მანქანა ...

შრომის საფასური

(ძველი იგავის მიხედვით)

საღამო ხანი იყო. ერთი საწყალი ქვრივი დედაკაცი და იმისი ორი პატარა ვაჟი ჭალის ტყიდან ბრუნდებოდნენ, თან მანეულის კონები მოჰქონდათ, ეზოს წაქცეული ღობე უნდა გაეახლებინათ. გზაზე ეტლით მომავალი მდიდარი კაცი დაინახეს და მოწყალება სთხოვეს. მდიდარმა უთხრა დედას:

- მათხოვრობა რა საკადრისია, მომაბარე ეგ შენი ბიჭები და ვასწავლი, მანეული და ჩალა ოქროდ როგორ აქციონო.

ქვრივი შეყოყმანდა, ეს კაცი ხომ არ დამცინისო, მაგრამ ბოლოს დაეთანხმა. ჩაისხა მდიდარმა კაცმა ბიჭები ეტლში და თან წაიყვანა. ერთ ძმას მეკალათეობა ასწავლა, მეორეს კი - ჩალის ქუდების წვნა.

დაიწყეს ბიჭებმა მუშაობა: ერთი მანეულის კალათებს წნავდა, მეორე - ჩალის ქუდებს. დღედაღამ შრომობდნენ. მათი ნახელავი კი იმ კაცს გასაყიდად მიჰქონდა.

გავიდა ხანი. ერთ მშვენიერ დღეს მდიდარი კაცი ბიჭებთან ერთად ქვრივს შინ ეწვია, იმ კალათებსა და ჩალის ქუდებში აღებული ოქროს ფულები კალთაში ჩაუჩხრიალა და უთხრა:

- ხომ პირნათლად შევასრულე ჩემი დანაპირებიო?!

1. მხიარული ლექსიკონი

სთხოვეთ მოსწავლეებს ტექსტში იპოვონ უცნობი სიტყვები. შემდეგ კი შეეცადონ გამოიცნონ, ივარაუდონ, რას უნდა ნიშნავდეს თითოეული. ამის პარალელურად კი დაფაზე შექმენით მხიარული ლექსიკონი.

მანეული - ტირიფის მსგავსი გრძელტოტება ბუჩქი, რომელსაც კალათებისა და სხვა ნივთების დასაწნავად იყენებენ.
მოწყალება - დახმარება.
ჩალა - ბალახი, რომლისგანაც ქუდებს წნავენ.
დედაკაცი - ქალბატონი, ქალი.

2. ტექსტის მასააზრებელი კითხვები:

1. საიდან მოდიოდნენ ქვრივი და მისი შვილები?
2. რისთვის მოჰქონდათ მათ მანეულის კონები?
3. რა სთხოვეს ქვრივმა და მისმა შვილებმა მგზავრს?
4. რა შესთავაზა მგზავრმა ქვრივს?
5. რა შეასწავლა კაცმა ძმებს?
6. რამ აქცია მანეული და ჩალა ოქროდ?
7. რას ნიშნავს „შრომის ფასი“?
8. როგორ დაუფასდათ ბიჭებს შრომა?
9. რა ვისწავლეთ მდიდარი კაცისგან?

როგორ დაარსდა თბილისი?

დიდი ხნის წინათ, მეხუთე საუკუნეში, საქართველოს ძლევამოსილი მეფე იყო ვახტანგ გორგასალი. ყველაზე დაუვიწყარი სახსოვარი მეფემ თბილისის დაფუძნებით დატოვა.
ის ადგილი, სადაც ახლა თბილისია, მანამდე ეჭირა ატეხილ ტყეს, რომელშიც მრავალი ნადირ-ფრინველი ბუდობდა.

ვახტანგი ერთხელ ამ ადგილებში ნადირობდა; მან გაჭრილი მიმინო აფრენილ ხოხობს დაადევნა. ხოხობიც და მისი მდევარიც ერთ ხრამის ხევში ჩაიკარგნენ და იქიდან აღარ გამოჩნდნენ. მაშინ ვახტანგი თავის ამალით ჩავიდა ამ ხევში. მან იქ ნახა უხვად მომდინარე ცხელი ნაკადული, რომელშიც მეფის მიმინო და ხოხობი მოხარშულიყვნენ.

მეფე მიხვდა ამ წყლის მარგებელობას, აწონ-დაწონა ამ ადგილის მეპატრონობა და მოხერხებულად მიიჩნია იქ ციხე-ქალაქის აგება. ამიტომ ბრძანა, გაეკაფათ ტყე და შესდგომოდნენ სახლების აშენებას.
ასე დააფუძნა ვახტანგმა ახალი ქალაქი, რომელსაც დაარქვა თბილისი იმის გამო, რომ ცხელი წყლის პირას იდგა.

როცა თბილისი გაძლიერდა და გამშვენდა, იგი აღიარებულ იქნა დედაქალაქად, ნაცვლად მცხეთისა, და მასში იყო გადმოტანილი სამეფო ტახტი.

(იაკობ გოგებაშვილის მიხედვით)

1. მხიარული ლექსიკონი

სთხოვეთ მოსწავლეებს ტექსტში იპოვონ უცნობი სიტყვები. შემდეგ კი შეეცადონ გამოიცნონ, ივარაუდონ, რას უნდა ნიშნავდეს თითოეული. ამის პარალელურად კი დაფაზე შექმენით მხიარული ლექსიკონი.

ძლევამოსილი - უძლეველი, გამარჯვებული.
დაფუძნება - შექმნა, დაარსება.
ციხე-ქალაქი - გალავნით შემოსაზღვრული დაცული ქალაქი.
საუკუნე - დროის მონაკვეთი, რომელიც 100 წელს მოიცავს.
მიმინო - პატარა მტაცებელი ფრინველი, რომელსაც იყენებდნენ სანადიროდ.
ხოხობი - ლამაზი ფრინველი გრძელი კუდით.
ხრამი - ღრმა ხევი, ხეობა.
ამალა - მეფის ან დიდებულის თანმხლები ადამიანები.
აწონ-დაწონა - კარგად გაიაზრა, შეაფასა.
გაკაფვა - ხეების მოჭრა, ტყის გაწმენდა.

2. ტექსტის მასაზრებელი კითხვები:

1. რომელ საუკუნეში დაარსდა თბილისი ?
2. ვინ იყო თბილისის დამაარსებელი?
3. როგორი იყო ადგილი, სადაც ახლა თბილისია?
4. როგორ აღმოჩნდა მეფე იმ ხევში, სადაც ცხელი წყალი მოჩუხჩუხებდა?
5. რატომ გადაწყვიტა მეფემ ამ ადგილას ციხე-ქალაქის აშენება?
6. რატომ დაარქვეს ახლად აშენებულ ქალაქს თბილისი?
7. რომელი ქალაქი იყო ძველად საქართველოს დედაქალაქი?
8. როდის გადმოიტანეს დედაქალაქი თბილისში?
9. რას ნიშნავს “სამეფო ტახტის გადმოტანა”?
10. წარმოიდგინე, რომ იმ დროში ცხოვრობდი - როგორ დაეხმარებოდი მეფეს ქალაქის აშენებაში?

3. მხიარული გრამატიკა - რიცხვითი სახელები

არსებობს ორი სახის ციფრი: არაბული (1, 2, 3, 4...) და რომაული (I, II, III, IV...). პირველი რაოდენობის გამომხატველ რიცხვებს აღნიშნავს და დაესმის კითხვა - რამდენი? მეორე - რიგითობის გამომხატველია და პასუხობს კითხვაზე - მერამდენე? როდესაც ციფრები სიტყვებით გადმოიცემა, მათ რიცხვითი სახელი ჰქვია.

რაოდენობითი რიცხვითი სახელები:

1 - ერთი, 2 - ორი, 3 - სამი, 4 - ოთხი, 5 - ხუთი, 6 - ექვსი, 7 - შვიდი, 8 - რვა, 9 - ცხრა, 10 - ათი

რიგობითი რიცხვითი სახელები:

I - პირველი, II - მეორე, III - მესამე, IV - მეოთხე, V - მეხუთე, VI - მეექვსე, VII - მეშვიდე, VIII - მერვე, IX - მეცხრე, X - მეათე.

ინსტრუქცია - ცხრილში მოცემული არაბული ციფრები სიტყვებით ჩაწერე

არაბული ციფრი	რაოდენობითი რიცხვითი სახელი
1	
2	
3	
4	
5	
6	
7	
8	
9	
10	

ინსტრუქცია - ცხრილში მოცემული რომაული ციფრები სიტყვებით ჩაწერე

რომაული ციფრი	რიგობითი რიცხვითი სახელი
I	
II	
III	
IV	
V	
VI	
VII	
VIII	
IX	
X	